

შპს „ბიომაპას ჯორჯიას“
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.....	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	103,632	51,172	18,556
არამატერიალური აქტივები	6	2,239	3,199	1,338
სულ გრძელვადიანი აქტივები		105,871	54,371	19,894
მოკლევადიანი აქტივები				
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-	1,557
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	246,557	261,904	140,160
გაცემული ავანსები		33,506	1,290	2,044
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	190,819	32,593	86,265
სულ მოკლევადიანი აქტივები		470,882	295,787	230,026
სულ აქტივები		576,753	350,158	249,920
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		500	500	500
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		469,180	299,299	247,037
სულ კაპიტალი		469,680	299,799	247,537
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
გადასახდელი გადასახადები		52,438	30,073	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	54,635	20,286	2,383
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		107,073	50,359	2,383
სულ ვალდებულებები		107,073	50,359	2,383
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		576,753	350,158	249,920

დირექტორი
თამარ ჩირგაძე

26 ივნისი 2024
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი მომსახურებიდან საერთო მოგება	10	4,301,495 4,301,495	2,262,754 2,262,754
ადმინისტრაციული ხარჯები საოპერაციო მოგება	11	(4,100,963) 200,532	(2,113,440) 149,314
წმინდა საკუთსო მოგება/(ზარალი) სხვა არასაოპერაციო შემოსავალი სხვა არასაოპერაციო ხარჯები	12	(29,132) 501 (1,955)	(89,818) - (7,234)
მოგება დაბეგვრამდე		169,946	52,262
მოგების გადასახადის ხარჯი		(65)	-
წმინდა მოგება		169,881	52,262

დირექტორი
თამარ ჩირგაძე

26 ივნისი 2024
თბილისი, საქართველო

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	500	247,037	247,537
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	52,262	52,262
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	500	299,299	299,799
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	169,881	169,881
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	500	469,180	469,680

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება/(ზარალი)	169,881	52,262
კორექტირებები:		
ცვეთა	37,889	15,665
ამორტიზაცია	7,900	4,771
მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	29,132	89,818
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	244,802	162,516
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	7,653	(159,004)
ცვლილებები გაცემულ ავანსებში	(32,216)	754
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	-	2,942
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	21,856	30,073
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	34,103	17,903
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	276,198	55,184
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(90,349)	(48,281)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(6,940)	(6,632)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(97,289)	(54,913)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დივიდენდების გადახდა	-	-
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ფულისა და ეკვივალენტების ნეტო ცვლილება	178,909	271
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(20,683)	(53,943)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	32,593	86,265
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	190,819	32,593

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი

შპს „ბიომაპას ჯორჯია“ დაარსდა 2014 წლის 6 მაისს. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით: 405042190. იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N 60ბ, მე-8 სართული, ბინა N 28.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „ბიომაპას ჯორჯია“ სრულად (100%) ეკუთვნის დახურული ტიპის საექციო საზოგადოება ბიომაპასს, საიდენტიფიკაციო ნომერი: 135750888 („Biomapas UAB“). „Biomapas UAB“-ის მფლობელები იყვნენ: UAB „Sveikata ir Ko“ (54.87%), UAB „VF projektai“ (26%) და ზერალდას დამუსისი (19.13%). კომპანიის საბოლოო ბენეფიციარები იყვნენ: აუდრიუს სვეიკატა, პეტრას სვეიკატა, ვიდმანტას ფოკასი და ზერალდას დამუსისი.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას. კომპანიის სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა არის ქართული ლარი („GEL“). ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

შესაბამისობის განცხადება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ მიხედვით, რომელიც გამოშვებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ და ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

პირვანდელი ღირებულება, როგორც წესი, ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ფასის მართლზომიერ ღირებულებას. მართლზომიერი ღირებულება არის ფასი, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში მოწესრიგებულ გარიგებაში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის, მიუხედავად იმისა,

ხელმისაწვდომია ეს ფასი პირდაპირი დაკვირვებით თუ შეფასებულია სხვა შეფასების მეთოდის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების მართლზომიერი ღირებულების შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს იმ შემთხვევაში, თუ ბაზრის მონაწილეები მათ გაითვალისწინებდნენ ფასის განსაზღვრისას შეფასების თარიღისთვის. მართლზომიერი ღირებულება, როგორც შეფასების, ისე გამჟღავნების მიზნით, ამ ცალკე ფინანსურ ანგარიშგებაში განისაზღვრება ზემოთ აღნიშნული პრინციპების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, მართლზომიერი ღირებულების შეფასებები კლასიფიცირდება დონეებად 1, 2 ან 3, იმის მიხედვით, თუ რამდენად დაკვირვებადია ამ შეფასებისთვის გამოყენებული მონაცემები და რამდენად მნიშვნელოვანია ისინი მთლიანობაში, რაც შემდეგნაირად აღიწერება:

- 1 დონე – დაურეგულირებელი საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის, რომლებზეც კომპანიას აქვს წვდომა შეფასების თარიღისთვის;
- 2 დონე – ისეთი დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც არ არის დონის 1-ის საბაზრო ფასები, მაგრამ დაკავშირებულია აქტივთან ან ვალდებულებასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- 3 დონე – დაკვირვებად მონაცემებზე მიუწვდომელი მონაცემები, რომლებიც გამოიყენება აქტივის ან ვალდებულების შეფასებისთვის.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ მიხედვით, შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბრის პერიოდისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის სამუშაო ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი/ლარი	3.0976	2.7020	2.6894
1 ევრო/ლარი	3.5040	2.8844	2.9753

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და საჭიროების შემთხვევაში – გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების ან კომპონენტების ჩანაცვლების ღირებულება კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ამ ხარჯებიდან მიიღება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღიარებულია ხარჯად მათი წარმოშობისთანავე.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულებზე ცვეთის დათვლა ხორციელდება წრფივი მეთოდით, მათი ღირებულების ნარჩენ ღირებულებაზე გადანაწილებით სავარაუდო გამოსაყენებელი ვადის განმავლობაში. ცვეთის განაკვეთებია:

- ოფისის ინვენტარი – 25%-33%
- ავეჯი და მოწყობილობები – 17%-25%

აქტივის ნარჩენ ღირებულებად მიიჩნევა ის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გასხვისების შემთხვევაში, გასხვისების სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში, თუ აქტივი უკვე იმ ასაკისა და მდგომარეობის იქნებოდა, რაც მისი სასარგებლო ვადის ამოწურვისთვის არის მოსალოდნელი.

აქტივების ნარჩენი ღირებულება და გამოსაყენებელი ვადები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფებსა და ლიცენზიებს. პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზაცია აღწერილია მოგება-ზარალის ანგარიშში წრფივი მეთოდით და მისი ამორტიზაციის განაკვეთი შეადგენს 100%-ს.

გადასახადი

საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო პერიოდის ბოლომდე ამოქმედებული ან არსებითად მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ ეკისრებათ საშემოსავლო გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ ეს მოგება არ განაწილდება ან არ ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით.

ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდების გადახდის მომენტში გადასახდელია 15%-იანი საშემოსავლო გადასახადი მთლიანი ღირებულების მიხედვით (ანუ წმინდა დივიდენდები გამოიქვითება 5%-იანი გადასახადით, თუ ეს შესაძლებელია, და გაიყოფა 0.85-ზე). 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგებიდან რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები გათავისუფლებულია გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში დაგროვილი შემოსავლებიდან მიღებული დივიდენდები ექვემდებარება შემოსავალს მთლიანი ღირებულების მიხედვით, შემცირებული

შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრი მოგების შესახებ დეკლარირებული და გადახდილი კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის წილი იმავე პერიოდის წმინდა მოგებასთან გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებაზე დაკისრებულ ფაქტობრივ საშემოსავლო გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოშობილი საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება საშემოსავლო გადასახადის ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლისთვისაც ხდება დივიდენდების გადახდა. დივიდენდების გადახდისას წარმოშობილი პირობითი საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება არ აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადასახდელია ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდებასთან და წარმომადგენლობის ხარჯებზე, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. ყველა ავანსი, რომელიც გადახდილია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებული სუბიექტებისთვის და სხვა გარკვეული ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, ასევე ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტებისთვის გაცემული სესხები, დაუყოვნებლივ იბეგრება. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ავანსების ან ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტებისთვის გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ მიღებული აქტივების ან მომსახურების შესახებ მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტების გამოკლებით, აღირიცხება შემოსავლის გარდა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯებში.

ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები

ფული და ფულთან გათანაბრებული ეკვივალენტები მოიცავს ბანკში განთავსებულ ფულს მოთხოვნით განაღდების ან თავდაპირველი ვადიანობით სამ თვეზე ნაკლები პერიოდით. ფული და ფულთან გათანაბრებული სახსრები აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისგან.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც კომპანიამ კონტროლი მოიპოვა აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსის ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი

დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და, ასევე, იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი მიღებულია საკონსულტაციო მომსახურებიდან და აღიარება ხდება ყოველთვიური ინვოისების მიხედვით. შემოსავალი ასახულია დამატებული ღირებულების გადასახადის (VAT) და ფასდაკლებების გარეშე.

შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები სანაცვლო ფასის სამართლიანი ღირებულებით. როდესაც ბარტერული გარიგებისას მიღებული საქონლის ღირებულების სანდო შეფასება არ არის შესაძლებელი, შეფასება ხორციელდება საქონლის ან მომსახურების საბაზრო ღირებულების შესაბამისად.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის გამოცდილებაზე და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა, ასევე, იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

5. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ჯამი
საწყისი ღირებულება			
ბალანსი 31.12.2021	23,772	-	23,772
შემოსვლა	48,281	-	48,281
ბალანსი 31.12.2022	72,053	-	72,053
შემოსვლა	57,252	33,097	90,349
ბალანსი 31.12.2023	129,305	33,097	162,402
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება			
ბალანსი 31.12.2021	(5,216)	-	(5,216)
ცვეთა პერიოდისათვის	(15,665)	-	(15,665)
ბალანსი 31.12.2022	(20,881)	-	(20,881)
ცვეთა პერიოდისათვის	(36,137)	(1,752)	(37,889)
ბალანსი 31.12.2023	(57,018)	(1,752)	(58,770)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
ბალანსი 31.12.2021	18,556	-	18,556
ბალანსი 31.12.2022	51,172	-	51,172
ბალანსი 31.12.2023	72,287	31,345	103,632

6. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	ჯამი
საწყისი ღირებულება		
ბალანსი 31.12.2021	2,561	2,561
დანამატები	6,632	6,632
ბალანსი 31.12.2022	9,193	9,193
დანამატები	6,940	6,940
ბალანსი 31.12.2023	16,133	16,133
აკუმულირებული ცვეთა		
ბალანსი 31.12.2021	(1,223)	(1,223)
ამორტიზაცია პერიოდისათვის	(4,771)	(4,771)
ბალანსი 31.12.2022	(5,994)	(5,994)
ამორტიზაცია პერიოდისათვის	(7,900)	(7,900)
ბალანსი 31.12.2023	(13,894)	(13,894)
წმინდა ღირებულება		
ბალანსი 31.12.2021	1,338	1,338
ბალანსი 31.12.2022	3,199	3,199
ბალანსი 31.12.2023	2,239	2,239

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	დეკემბერი 31, 2023	დეკემბერი 31, 2022	დეკემბერი 31, 2021
მოთხოვნები CJSC Biomapas-სგან	246,557	261,904	140,160
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	246,557	261,904	140,160

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	დეკემბერი 31, 2023	დეკემბერი 31, 2022	დეკემბერი 31, 2021
ლარი საბანკო ანგარიშზე	6,281	2,307	4,056
ევრო საბანკო ანგარიშზე	6,020	30,286	82,209
ფული გზაში*	178,518	-	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	190,819	32,593	86,265

ფული გზაში* - ფული, რომელიც გადმორიცხული იყო, მაგრამ არიყო ჯერ მიღებული შპს ბიომასას ჯორჯიას საბანკო ანგარიშზე 31 დეკემბრის მდგომარეობით (60,000 ევრო). თანხა მიღებული იქნა 3 იანვარს 2024 წელს.

9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	დეკემბერი 31, 2023	დეკემბერი 31, 2022	დეკემბერი 31, 2021
ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე	51,607	10,432	2,383
ვალდებულება სსიპ საპენსიო სააგენტოს მიმართ	2,968	9,854	-
ვალდებულება პერსონალის მიმართ	60	-	-
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	54,635	20,286	2,383

10. შემოსავალი მომსახურებიდან

შემოსავალი მომსახურებიდან	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი CJSC Biomapas-სგან	4,301,495	2,262,754
მთლიანი შემოსავალი მომსახურებიდან	4,301,495	2,262,754

11. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2023 წელი	2022 წელი
შრომის ანაზღაურების ხარჯები	2,908,373	1,652,444
საგადასახადო ხარჯები მოგების გადასახადის გამოკლებით	216,295	58,323
თარჯიმნის და სანოტარო მომსახურების ხარჯები	165,944	106,394
სხვა საგადასახადო ხარჯი (სალიცენზიო მოსაკრებლის გადასახადი)	156,400	48,800
საბროკერო და საკურიერო მომსახურების ხარჯები	140,257	25,496
იჯარის ხარჯები	107,764	56,004
პროფესიონალური მომსახურების ხარჯები	64,179	-
მონიტორინგის ხარჯები	61,780	21,207
საპენსიო ხარჯები	51,115	27,791
ბეჭდვის მომსახურების ხარჯები	49,989	19,549
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	45,790	20,435
მივლინების ხარჯები	32,265	16,014
კვების ხარჯები	20,296	4,447
კომუნიკაციის ხარჯები	19,858	10,068
საოფისე ხარჯები	15,758	17,473
სატრანსპორტო ხარჯები	13,573	202
საკანცელარიო ხარჯები	11,436	8,388
საბუღალტრო პროგრამის ლიცენზიის ხარჯი	5,821	978
დასუფთავების ხარჯები	3,444	-
კომუნალური მომსახურების ხარჯები	3,312	1,764
ბანკის საკომისიოს ხარჯები	2,610	2,537
შეკეთების ხარჯები	1,812	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	1,102	-
ტექნიკური მომსახურების ხარჯები	1,040	-
კომპიუტერის ხარჯები	616	-
დაცვის ხარჯები რემონტის	134	-
ტრენინგის ხარჯები	-	13,202
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	1,924
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	4,100,963	2,113,440

12. წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)

წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)	2023 წელი	2022 წელი
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	54,420	29,242
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(83,552)	(119,060)
სულ წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)	(29,132)	(89,818)

13. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულია.

გადასახადები

საგადასახადო სისტემა საქართველოში შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი ცვლილებები კანონმდებლობაში, ოფიციალურ განცხადებებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, წინააღმდეგობრივი და ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციას სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ. გადასახადები განიხილება და გამოძიებას ექვემდებარება სხვადასხვა სამთავრობო ორგანოების მიერ, რომლებსაც აქვთ უფლება დააწესონ მცადრი ჯარიმები. საგადასახადო ორგანოების მიერ სამი კალენდარული წლის შემოწმება ხორციელდება, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში, შეიძლება უფრო დიდ პერიოდზე განხორციელდეს შემოწმება.

ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც არსებითად უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. მენეჯმენტი თვლის, რომ მან ადეკვატურად უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციების საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და თუ ორგანოები წარმატებით განახორციელებენ საკუთარ ინტერპრეტაციებს, წინასწარი ფინანსურ ინფორმაციაზე გავლენა შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. კომპანია პერიოდულად აფასებს თავის ვალდებულებებს გარემოსდაცვითი რეგულაციების მიხედვით. როდესაც ვალდებულებები ჩნდება, მათი აღიარება ხდება დაუყოვნებლად. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას არსებული რეგულაციების, სამოქალაქო სასამართლო პროცესების ან კანონმდებლობის ცვლილებების შედეგად, ვერ იქნება შეფასებული, მაგრამ ისინი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. არსებული კანონმდებლობის ქვეშ, მოქმედი აღსრულების კლიმატში, მმართველობა მიიჩნევს, რომ გარემოსდაცვითი ზიანის მნიშვნელოვანი ვალდებულებები არ არსებობს.

დაზღვევა

დაზღვევის ინდუსტრია საქართველოში განვითარებადი ეტაპზეა. შედეგად, მსოფლიოში მიღებული დაზღვევის მრავალი ფორმა ჯერ კიდევ არ არის სრულად ხელმისაწვდომი საქართველოში. კომპანიას არ გააჩნია სრული დაზღვევა თავისი მოძრავი ქონების, გათავისუფლების ან მესამე მხარის პასუხისმგებლობის შესახებ კერძო ქონებაზე, ან ნებისმიერი შემთხვევითი ზიანის შესახებ კომპანიის ქონებასა და ოპერაციებზე.

საქართველოში ბოლო რამდენიმე წელში მოხდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთან. ბოლო წლების განმავლობაში ეს ცვლილებები გარკვეულწილად საფუძვლის მომზადებას წარმოადგენდა, და უფრო მეტი ცვლილებების მოლოდინია მომავალში ევროკავშირის მოქმედების გეგმასთან დაკავშირებით.

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები წარმოადგენს მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე; თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარეების ურთიერთობის შეფასებისას ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2023	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	
UAB Biomapas	246,557	
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	246,557	
ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2022	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	
UAB Biomapas	261,904	
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	261,904	
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2023	შემოსავალი მომსახურებიდან	
UAB Biomapas	4,301,495	
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	4,301,495	
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2022	შემოსავალი მომსახურებიდან	
UAB Biomapas	2,262,754	
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	2,262,754	
მენეჯმენტის შრომის ანაზღაურება	2023 წელი	2022 წელი
თამარ ჩირგაძე (დირექტორი)	204,078	161,400
იოსებ ყურელი (ყოფილი დირექტორი)	-	78,037
სულ მენეჯმენტის შრომის ანაზღაურება	204,078	239,437

15. ფუნქციონირებადი საწარმო

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანალიზი „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.


ასევე, 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 26 ივნისამდე პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები ორგანიზაციაში, რომლებიც გავლენას იქონებდნენ შპს „ბიომპას ჯორჯიას“-ს ფინანსურ ანგარიშგებაზე, მათ შორის რუსეთ-უკრაინის ომი.

17. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2024 წლის 26 ივნისს.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი მომსახურებიდან საერთო მოგება	10	4,301,495 4,301,495	2,262,754 2,262,754
ადმინისტრაციული ხარჯები საოპერაციო მოგება	11	(4,100,963) 200,532	(2,113,440) 149,314
წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი) სხვა არასაოპერაციო შემოსავალი სხვა არასაოპერაციო ხარჯები	12	(29,132) 501 (1,955)	(89,818) - (7,234)
მოგება დაბეგვრამდე		169,946	52,262
მოგების გადასახადის ხარჯი		(65)	-
წმინდა მოგება		169,881	52,262


დირექტორი
თამარ ჩირგაშვილი

26 ივნისი 2024
თბილისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31	31	31
	შენიშვნა	დეკემბერი 2023	დეკემბერი 2022	დეკემბერი 2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	103,632	51,172	18,556
არამატერიალური აქტივები	6	2,239	3,199	1,338
სულ გრძელვადიანი აქტივები		105,871	54,371	19,894
მოკლევადიანი აქტივები				
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-	1,557
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	246,557	261,904	140,160
გაცემული ავანსები		33,506	1,290	2,044
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	190,819	32,593	86,265
სულ მოკლევადიანი აქტივები		470,882	295,787	230,026
სულ აქტივები		576,753	350,158	249,920
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		500	500	500
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		469,180	299,299	247,037
სულ კაპიტალი		469,680	299,799	247,537
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
გადასახდელი გადასახადები		52,438	30,073	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	54,635	20,286	2,383
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		107,073	50,359	2,383
სულ ვალდებულებები		107,073	50,359	2,383
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		576,753	350,158	249,920

ა. ხეო

დირექტორი

თამარ ჩირგაძე

26 ივნისი 2024

თბილისი, საქართველო

შპს "ბიომაპას ჯორჯია"

405042190

"BIOMAPAS GEORGIA" LLC